

2019 წლის 6 თვის ანგარიში

შსს სსიპ „112“ (30 08)

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება (30 08)

პროგრამის განმახორციელებელი - შსს სსიპ „112“

ათას ლარებში

პროგრ. კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დამუსტრებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დამუსტრებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 08	საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება					<u>4 917.7</u>

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

მიღებული იქნა საგანგებო სიტუაციების და გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ შეტყობინებები (2 512 886 ზარი), რომლებიც დამუშავებულ და გადაგზავნილ იქნა შესაბამის მომიჯნავე სამსახურებში;

გადაუდებელი დახმარების საგანგებო ნომერთან დამაკავშირებელი ინოვაციური არხის - 112- ის მობილური აპლიკაციის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად ხდება ახალი ფუნქციონალების დამატება, მაგალითად, განხორციელდა მობილური აპლიკაციის სრული ადაპტაცია მხედველობის არმქონე პირებისთვის, დაემატა ოჯახში ძალადობის ჩანართი, რომელიც მოქალაქეებს აწვდის ინფორმაციას ძალადობის ფორმებსა და მსხვერპლთა დახმარების სერვისების შესახებ. საანგარიშო პერიოდში დაემატა ახალი ჩანართი „თამბაქოს კონტროლი“, სადაც მოქალაქეები გაეცნობიან თამბაქოს მონეველსთან დაკავშირებით არსებულ რეგულაციებს და მიიღებენ რეკომენდაციებს მოხმარების თავის დანებების შესახებ;

საქართველოს წითელი ჯვრის ასოციაციასთან ერთად, ყოველ თვე, მიმდინარეობს სტუდენტებისთვის პირველი გადაუდებელი დახმარების ტრენინგები. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ტრენინგები გაიარა 68 სტუდენტმა;

დაიწყო მუშაობა ახალი პროგრამული უზრუნველყოფის (ERC 2.0) შექმნაზე. პროექტის მიზანია, ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, რომელიც გააუმჯობესებს სამუშაო პროცესს და ეფექტურს გახდის ცენტრის მუშაობას;

გათორმდა ხელშეკრულება პრიორიტეტების განმსაზღვრელი პროგრამის (ProQA) მომწოდებელ კომპანია PDC-სთან და დაიწყო პროექტის განხორციელება. შეიქმნა კულტურული კომიტეტების და ინსტრუქტორობის კანდიდატები და გადაეგზავნა IAED საერთაშორისო აკადემიას. 112-ს ესტუმრა PDC-ს წარმომადგენელი, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, როგორც 112-ის შესაბამის სამსახურების, ასევე, მომიჯნავე უწყებების მონაწილეობით. დაიწყო ERC-ს მომზადება ProQA-სთან ინტეგრაციისთვის;

მომზადდა საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოების შესახებ კვლევა და საკომუნიკაციო სტრატეგია;

დაიწყო კომუნიკაცია Apple-თან AML სერვისის დასანერგად iOS მომხმარებლებისთვის, აგრეთვე, Google-თან AML სერვისის დასანერგად გასათვორმებელი ხელშეკრულების განხილვა და მომზადება;

112-ის პროგრამაში (ERC Phone) განხორციელდა უცხოენოვანი ზარების გადამისამართების ახალი ფუნქციონალის დამატება, რაც უფრო მოქნილს გახდის ცენტრის მუშაობას;

ადამიანური რესურსების მართვისა და ანგარიშგების სისტემას (ელ. პორტალი) დაემატა ადამიანური რესურსების სამუშაო გამოცდილების, განათლების და სხვა უნარების მართვის მოდულები. აგრეთვე, განახლდა ინსპექტირების სამსახურის მოდული;

გადამზადდა/მომზადდა 282 მსმენელი. მათ შორის, 213 - 112-ის ქოლ-ცენტრის ოპერატორი, 14 ოპერატორობის კანდიდატი, 11 საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი, 5 შსს-ს ერთიანი მომსახურების ცენტრის თანამშრომელი, 2 ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელი, 28 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომელი, 28 საქართველოს რკინიგზის მგზავრთა ინფორმაციული მომსახურების სამსახურის თანამშრომელი;

განეულ იქნა ვაკუატორით მომსახურების სერვისი, როგორც საპატრულო პოლიციისთვის, ასევე, სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.